ახალი კორონავირუსული (nCoV) ინფექციის შემთხვევის განსაზღვრება (დროებითი)

31 იანვარი, 2020

შესაძლო შემთხვევა

ა. პაციენტი <u>მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციით</u>[1] (ცხელება, ხველა, კლინიკაში მიმართვის საჭიროება) **და** არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას **და** სიმპტომების დაწყებამდე 14 დღით ადრე, მოგზაურობდა ან ცხოვრობდა ჩინეთში;

ან

ბ. პაციენტი <u>ნებისმიერი</u> მწვავე რესპირაციული ინფექციით **და** სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში ჩამოთვლილთაგან ერთი მაინც:

ა. კონტაქტი 2019-nCoV-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან, **ან**

ბ. მუშაობა ან ყოფნა (ვიზიტი) ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც 2019-nCoV-ის დადასტურებული ან სავარაუდო შემთხვევები მკურნალობდნენ.

სავარაუდო შემთხვევა

სავარაუდო შემთხვევა: შესაძლო შემთხვევა რომლის 2019-nCoV-ზე ტესტირებისას არის გაურკვეველი შედეგი **ან** დადასტურება მოხდა პან-კორონავირუსზე კვლევით **და** სხვა რესპირაციული პათოგენებით ინფიცირება არ იქნა გამოვლენილი.

დადასტურებული შემთხვევა

პირი, ლაბორატორიულად დადასტურებული 2019-nCoV-ის ინფექციით, კლინიკური გამოვლინებებისა და სიმპტომებისგან დამოუკიდებლად.

---

[1] *მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციის შემთხვევის განსაზღვრება:*

უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში დაწყებული მწვავე რესპირაციული ინფექცია, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას და თან ახლავს:

- *ცხელების ანამნეზი **ან** გაზომილი ტემპერატურა ≥38°C; **და***
- *ხველა.*

კონტაქტის განსაზღვრება:

კონტაქტი არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან ერთს მაინც:

- 2019-nCoV-ით დაავადებული პაციენტების უშუალო მოვლა, ახალი კორონავირუსული ინფექციის მქონე სამედიცინო პერსონალთან ერთად მუშაობა, პაციენტების მონახულება ან ახლო გარემოში ყოფნა, სადაც არიან 2019-nCoV-ით დაავადებული პაციენტები.
- 2019-nCoV-ით დაავადებულ პაციენტებთან ახლო გარემოში მუშაობა ან საკლასო ოთახებში ყოფნა.
- 2019-nCoV-ით დაავადებულ პაციენტებთან ერთად მგზავრობა ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტით.
- 2019-nCoV-ით დაავადებულ პაციენტებთან ერთად ერთ შინამეურნეობაში ცხოვრება სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში.

დადასტურებული ან სავარაუდო შემთხვევების კონტაქტების მონიტორინგი:

- კონტაქტების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს უკანასკნელი დაუცველი კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში.
- კონტაქტებმა თავიანთ თავებს უნდა დაუწესონ მგზავრობისა და მოძრაობის შეზღუდვა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უწყების მიერ, სიმპტომების მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს შინამეურნეობებში ვიზიტით ან ვირტუალურად ან ტელეფონის საშუალებით.
- ნებისმიერი კონტაქტი, რომელიც გახდება ავად და დააკმაყოფილებს შემთხვევის განსაზღვრებას, უნდა კლასიფიცირდეს როგორც სავარაუდო შემთხვევა და ჩაუტარდეს ტესტირება.
- უნდა ჩატარდეს ნებისმიერი ახლად იდენტიფიცირებული სავარაუდო ან დადასტურებული შემთხვევის კონტაქტების იდენტიფიცირება და მონიტორინგი.